"მე შენ მიყვარდი, შენ მწამდი, შენ გემსახურებოდი, როგორც შემეძლო"...

ნიკოლაძის გზით

ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 1 (256) 25 იანვარი ოთხშაბათი, 2017 წელი; ფასი 1 ლ.

19 იანვარს სრულიად საქართველომ ნათლისღების ბრწყინვალე დღესასწაული იზეიმა

პოლიტიკური პარადოქსები

დაშლილ-დაყოფილი ,,ნაცები" და ოპოზიციური პარტიები ერთიანდებიან ,,საერთო მტრის" ივანიშვილის და ,,ოცნების" წინააღმდეგ

,,ვერ გაგიმეტე გიორგი"...

,,ოცნებას" ქართველი ხალხი ,,ნაცების" შესაძლო აღორძინებას არ აპატიებს

ნათლისღება - ეს არის დღე, როცა უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მდინარე იორდანიაში სიმდაბლით იოანე ნათლისმცემლისგან ნათელიღო და წყალი ხრწნილებისგან განწმიდა, რათა მის მიერ ცოდვათა მოტევება მოენიჭებინა ჩვენთვის.

(გაგრძელება მე-3 გვ-ზე)

14 იანვარს ქართული თეატრის დღე აღინიშნა ,,თეატრი"-ფოთის თეატრში

მე-5-გვ

მწყემსი საქართველოსი 50 წელი-მძიმე ჯვარით ღვთისა და კაცის სამსახურში

მე-3 გვ

ზაფხულში ანაკლიის პორტის მშენებლობა დაიწყება

მე-5-გვ

ალილო შობის დღესასწაულის ტრადიციული ატრიბუტია

მე-3 გვ

პეტრე კობახიძე-ჭალადიდელი

ფაზისის სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ქალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა

მე-6-გვ



სამშობლოს სამსახურისთვის ჩანგი გიკურთხოს ზენამა,,,

დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის მამანტი ძაძამიას უკვდავ ხსოვნას კოლხურ-მეგრული ლექსიკონი-გზა ცივილიზაციის სადღუმლოებისაკენ

მე-4-გვ

მილოცვა

გია ხვანიძეს

ფოთელი საზოგადოება ულოცავს ფოთის მკვიდრს, ბატონ გია ხვანიძეს, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ღირსების ორდენის კავალერს, ფოთის საპატიო მოქალაქეს, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად არჩევას და ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს.

ჩამოყალიბდა მშენებელ-ექსპერტთა ჯგუფი

საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს

მე-3-გვ

საუკეთესო სპორტსმენების ალიარება

მერიამ ქალაქის წლის სპორტული ცხოვრება შეაჯამა

მე-8-გვ

პოლიტიკური პარადოქსები

დაშლილ-დაყოფილი ,,ნაცები" და ოპოზიციური პარტიები ერთიანდებიან ,,საერთო მტრის" ივანიშვილის და ,,ოცნების" წინააღმდეგ

,,ვერ გაგიმეტე გიორგი"...

,,ოცნებას" ქართველი ხალხი ,,ნაცების" შესაძლო აღორძინებას ვერ აპატიებს

საქართველოს ბოლოდროინდელი პოლიტიკური ცხოვრება პარტიულ ინტერესებს იქეთ ვერ წავიდა, უფრო მეტიც-ისე შეერწყა სახელმწიფოს, ზღვარიც ვერ გაგვივლია. მათი მიზანი ხელისუფლების, ძალაუფლების ხელში ჩაგდება იყო, თუნდაც ქვეყნის გაყიდვის და განიავების ფასად. ამის კლასიკური მაგალითია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომლის სამივე შემადგენელი სიტყვა ისეთივე ყალბია, როგორც ამ პარტიის მოღვაწეობა". ,,ოცნებას" მისი ცოდვები და შეცდომები ეყო, თუნდაც რომ დაინდო ,,ნაცები" ახლა რომ უკან მოუბრუნდნენ და ხალხის მტრად რაცხავენ. მაგრამ უფრო გაუგებარია სხვათა უმადურობა, რომ არა ივანიშვილი რა დღეს დააყრიდა სააკაშვილის ,,ნაცბანდა" დღეს მათთან გაერთიანებულ პარტიებს (ამათ რა ჩამოთვლის -ალასანია, ბურჯანაძე, უსუფაშვილი, ნათელაშვილი და ა.შ.) ნუთუ შეხსენება სჭირდებათ არცთუ შორეული წარსულისა, მაგრამ, ეტყობა, აქ მთავარი ხელისუფლებაში მოსვლაა, სკამი, თანამდებობა, შეუზღუდავი ძალაუფლება და პარტიულ ინტერესებს დაქვემდებარებული ქვეყანა, თავიანთ სამფლობელოდ რომ აქციეს ,,ნაცებმა". ამათ თავიანთი საუკუნის დანაშაული პოლიტიკურვ ასპექტში გადაიტანეს და მხოლოდ თავიანთ თანაპარტიელებზე, ვითომ პოლიტპატიმრებზე წუხან, თორემ უდანაშაულო ადამიანებით რომ გამოტენეს ციხეები, ამაზე არაფერს ამბობენ. თუ ხალხის გაღატაკება, გაუბედურება, ნულოვანი ტოლერანტობა და ახალგაზრდების ჩახოცვა, ბიზნესის რეკეტი და სხვა უამრავი დანაშაული დანაშაული არაა, მაშინ რატომაა დანაშაული, როცა არასრულწლოვნები, ქალები პურს და ძეხვს იპარავდნენ, რათა თავი გადაერჩინათ ამ გაუბედურებულ ქვეყანაში, ვიდრე ნაცმოძრაობა არ გასამართლდება, ვიდრე სისხლის სამართლის დამნაშავეები არ დაისჯებიან და ვიდრე მთელი ეს დანაშაულებრივი სივრცე კულისებს მიღმა ხელშეუხებელი დარჩება და ,,ნაცები" ჭკუის სწავლებას და დამოძღვრას გააგრძელებენ, ,,ოცნებას" არ ექნება ძველებურად ხალხის მხარდაჭერა და ,,ნაცებიც" მუდმივად მტრის ხატად არ გამოდგებიან. ,,ოცნების" ბრალი იქნება ,,ნაცების" შესაძლო აღორძინება და ამას ქართველი ხალხი ვერ აპატიებს მას. ან ეს ვაიტელევიზიები რას გვანან-საინფორმაციო პროგრამაში უგულავა ციხიდან გამოსული პირდაპირ ეკრანზეა და 20 წუთი შეწყვეტილ სამომავლო გეგმებზე ქაქანებს. არის დებატები და ინტერვიუები გაყრილთა, დაშლილთა თუ ერთიანი ფრონტით საბრძოლველად გაშლილებთან. თუ ,,ნაცების" ორივე განაყოფის მიზანი ივანიშვილის და ,,ოცნების" განადგურებაა, მაშინ რაღას გაებუტნენ ერთმანეთს, ცოტა გაუგებარია-თუ ეს არის გაქცევა პასუხისმგებლობიდან და დანაშაულების ერთ კაცზე გადაბრალება. მათ ერთად აიღეს მილიარდები ამერიკელებიდან და ქვეყანა ვალში ჩატოვეს, როგორც მძევალი, არადა, ამერიკა ჰარი-ჰარად ფულს არ არიგებს და არ მოგვეშვება ვიდრე თავისას არ მიაღწევს. ესეც ,,ოცნების" თავსატეხია, რომელიც 2 ცეცხლსშუა ტრიალებს - აქეთ ხალხი გმინავს, ამერიკა კი თავის

მამაძაღლებს იცავს. უგულავას სხვა ,,პოლიტპატიმრებიც" შეიძლება მიაყოლონ, მაკეინი კვლავაც არ დაიზარებს ჩამოსვლას დემოკრატიის მხარდასაჭერად, მაგრამ, ახლა ჩვენ გვკითხოს რა დაუჯდა ქვეყანას ამერიკული დემოკრატია, თუ ისევ ,,ღმერთმა ნუ ქნას" ,,ნაცები" მობრუნდნენ წინა სამოქალაქო ომი მონაგონი იქნება. ხალხი პირდაპირ ანგარიშსწორებაზე გადავა. ახალ რევანშისტულ ,,ნაცებს" ძველის დატოვება ჯობა. მილიარდერები, თუ ხელისუფლება გარე მტრებს უფრთხიან, ხალხს კი არავისი არ ეშინია-არაფერი აქვს დასაკარგი, მისმა პრინციპულმა პოზიციამ ქვეყანა უნდა გადაარჩინოს, ამიტომ უნდა მიენდოს ,,ოცნება" ხალხს და ხალხიც უნდა მიეხმაროს მას შინაურ და გარეშე მტერთან ბრძოლაში. სამწუხაროდ, პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანს ახალგაზრდა პატრიოტები, რომლებიც არავის წინაშე არ არინ ვალდებულნი, ვერც რუსი დააყვედრის რამეს და ვერც ამერიკელი. არ ვამბობთ რომ ევროპული ღირებულებები არ გვჭირდება, განა ჩვენ ბუნებით ჰუმანისტები დემოკრატები, ტოლერანტები არავართ? თუ ტექნოლოგიებზე მიდგება საქმე, კოლხებს როცა ოქროდამწერლობა ჰქონდათ ევროპული ტომები ენას იდგამდნენ, რუსებზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. სამწუხაროდ, მუდამ მტრულ გარემოცვაში ჩამოვრჩით განვითარებით და ეს დანაკლისი თანამედროვე ახალგაზრდობამ უნდა აანაზღაუროს. ისწავლონ ევროპულ ქვეყნებში, მაგრამ ქვეყანა არ უნდა დაავიწყდეთ, იქ არ უნდა დარჩნენ სამუდამოდ. როგორც ორაგული მიილტვის დაბადების სათავეებისაკენ ჩვენც უნდა დაგვაბრუნოს სისხლის ყივილმა. საქართველო მხოლოდ მიწა არაა, ქართველობა ბედისწერაა და ამ სამშობლოს ყიდიან და ანგრევენ ვითომ პატრიოტები, რომელთაც ძალაუფლებაც სათავისოდ სჭირდებათ და არა ხალხისთვის, რომელიც კარგა ხანია მეფე ლირივით მიტოვებულია. სააკაშვილის ნარჩენებს ისევ ითმენს ქვეყანა, ვისაც ,,რუსთავი 2" ტელევიზიად მიაჩნია, როგორც სინდისის, პატიოსნების, სამშობლოს სიყვარულის განსახიერება, ან უგუნური მოკეთეა ან შეგნებული მტერი. ამ ტელევიზიას იცავენ პარტიები, ,,პოლიტიკოსები" მედიის სიტყვის თავისუფლების მოთხოვნით. მაგრამ ბინძური სიტყვის თავისუფლება როგორი ასატანია. შალვა და ძმანნი მისნი ვითომ სიმართლეს გაჰყვირიან, სამაგიეროდ კარგ გასამრჯელოს იღებენ. არაფრის მთქმელი პარტიებიც ბიუჯეტიდან ფიანნსდებიან, ან რა საჭიროა 200 პარტია, ქვეყანა ხომ ერთია.

რუსებმა ტერიტორიები წაგვართვეს, მაგრამ აშშ როგორც სატრანზიტო ტერიტორიას ისე უყურებს ამ უნიკალურ ქვეყანას - ,,ვეფხვისტყაოსნისა" და სხვა უამრავი შედევრების პატრონს, თუ ეს შემთხვევითი, ერჯერადი მოვლენაა? როცა ამ ტერიტორიას ტოვებენ ადამიანები - აბორიგენები, რა მნიშვნელობა აქვს ტყვიით მიერეკები თუ სიღარიბით. ახალგაზრდობის გარყვნილება - გადაგვარებით, რომელსაც სამშობლოს ცნება აღარც კი ახსოვს. სააკაშვილის ხელისუფლების მიზანი ეს იყო და არის.

რა მალე გავიდა საქართველოს დამოიკიდებელი 30 წელი და რა მივიღეთ, ვითომ დამოუკიდებლობა, ვითომ დემოკრატია, ვითომ თავისუფლება, სიღარიბეს მიბმული, დამონებული ხალხი, ადამია-

ნები, პიროვნებები, ეს ხდება 21-ე საუკუნეში. ქართველები უომრად, მტრის გარეშე ტოვებენ საქართველოს. განა ძნელი გამოსაცნობია ის, ვინც ამ დღეში ჩააგდო ქვეყანა, განა ხილული არაა დანაშაული, თუნდაც გადამალულ ფირებზე აღბეჭდილი, რატომდაც რომ დაწვეს და გაანადგურეს როგორც ბრალდება. გველი პერანგს იცვლის, მაგრამ მისი ბუნება უცვლელია, ისევ მოცოცავს და წინ არავინ ეღობება, პირიქით უერთდებიან გზადაგზა ეს ვაი პარტიები, დღედაღამ რომ გაჰკივიან ივანიშვილი უნდა ჩამოვაგდოთ, ჩვენი საერთო მტერიაო, სანამდე მივიდა ქვეყანა-მტერ-მოყვარეს ვერ არჩევს, ნაცები ისევ აგრძელებენ ქვეყნის ნგრევას, რათა ოცნებას დაბრალდეს. დღედაღამ ნაკლოვანებებზე მიუთითებენ, მაგრამ არა იმიტომ რომ ხალხი აწუხებთ, არამედ სხვის უვარგისობას გაუსვან ხაზი და ისევ თვითონ მოვიდნენ. აი კრიტიკით სპეკულაცია, პატრიოტიზმით სპეკულაცია, თორემ რუსის კედელს კაცი დაეტაკებოდა? აი, რა წნეხის ქვეშაა ,,ოცნება", ამ ნაძირალებს, თავიანთ მამაძაღლებს ამერიკლები იცავენ და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორიაო იძახიან, ნატო ჩვენი იმედი და ხსნააო, ამათ უნდათ ნატო, 9 წელი რომ ანგრევდნენ ქვეყანას? რას იზამ როცა, სხვა გზა არაგვაქვს,

არადა, მილიონი ქართველი რუსეთშია გადახვეწილი და იქიდან არჩენს ლამის ნახევარ საქართველოს. პარადოქსია-ეს ქვეყანა ოკუპანტიცაა, მტერიცაა და მოყვარეც.

არჩევნები არ გადის დემოკრატიაზე-ქუჩიდან მოსულები, ეიფორია, ხალხის გაჭირვებით მანიპულირებენ, რასაც მოჰყვება ვარდების ამერიკული რევოლუციები, და ა.შ. პოლიტიკური შოუები მოსწყინდა ხალხს, ქვეყანას ვერ გაუგია გვინდა თუ არა პრეზიდენტი, კონსტიტუცია ,,ნაცებმა" უბის წიგნაკად გაიხადეს, ახლა ვიმკით შედეგებს. ესენი ვინც არიან ახლა გამოჩნდა, თუმცა, პარტიის განახლებას ვეძახით გაყოფა-დაპირისპირებას, მართლა ბნელა? ისე ვერაფერს ხედავთ? რატომ არ დაიშალა ,,ნაცები" იდეურად მაშინ, როცა ქვეყანას ყვლეფდნენ? მაგრამ მაშინ ეს ერთი მიზანი ჰქონდათ.

წინ მეტად რთული წელი გველოდებათ, ეს არის ,,ოცნების" გამოცდის წელი და კი არ უნდა ჩავუსაფრდეთ, უნდა დავეხმაროთ ამ უბედურების - მოუცილებელი ჭირის მოცილებაში. ,,ოცნებამ" უნდა გააცნობიეროს რომ არ შეიძლება ამათი დანდობა, ,,ვერ გაგიმეტე გიორგი", დაგვღუპავს ასეთი ჰუმანურობა, ამან დაღუპა ზვიად გამსახურდია, სამართლიანობის აღდგენა უნდა დაიწყოთ და ხალხიც გვერდში დაგიდგებათ, ქვეყანა აქამდე აკვარიუმს გავდა, თევზებივით პირს ვაღებდით და ხელისუფლებას არ ესმოდა ჩვენი და ჩვენ - მათი. ნუ იქნება საქართველო ერთადერთი ქვეყანა, სადაც დანაშაული არაა დანაშაული, სადაც არაა დანაშაული ის, რაც რამდენჯერმე ჩამოვთვალეთ ამ წერილში, რამაც ასე გაამწარა და გააუბედურა ქართველი ხალხი.

უიმედო, რწმენადაკარგულ და ღატაკ ადამიანს სამშობლო არაა-ქვს, იგი გარბის, თავს შველის. გარბიან ათასობით ქალები, დედები. მოკლედ, ქვეყანა პარტიული კასტის სამფლობელო იყო, სადაც არარსებობდა სამართლებრივი სივრცე. ,,ოცნებამ" უნდა შეძლოს ყველაფერ ამას დაარქვას თავის სახელი და დარჩეს ხალხზე მზრუნველ ღირსეულ პარტიად.

თუ ეს ასე არ მოხდა, საქართველო ვერ გადარჩება ამ დანაშაულების გვერდის ავლით, დასასჯელი უნდა დაისაჯოს, ეს არც ამერიკის და არც რუსეთის საქმე არ არის, ეს ჩვენი კაცობის და ღირსების საქმეა.

ზ. აბრალავა



შობიდან – ნათლიღებამდე

მაცხოვარმა თვითონ კი არ მიიღო სიწმიდე ან, როგორც უცოდველი, განწმედას კი არ საჭიროებდა, არამედ ნათელიღო ჩვენი შეწევნისათვის, შემუსრა ეშმაკი და განწმედილი წყლით ჩვენი უსჯულოება განბანა.

ამ დღეს ღვთის განცხადება ეწოდება, რადგანაც სწორედ მაშინ განცხადდა პირველად სამება – ძე ნათელს იღებდა, სულიწმიდა მტრედის სახით ჩანდა, ხოლო ციდან ისმოდა მამის ხმა : „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელ მე სათნო ვიყავ”.

მწყემსი საქართველოსი 50 წელი-მძიმე ჯვარით ღვთისა და კაცის სამსახურში

4 იანვარი სრულიად საქართველოს-კათოლიკოს- პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაბადების დღეა. კათოლიკოს-პატრიარქს 84 წელი შეუსრულდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე, ერისკაცობაში ირაკლი შიოლაშვილი, 1933 წლის 4 იანვარს ვლადიკავკაზში, გიორგი ღუდუშაური-შიოლაშვილისა და ნატალია კობაიძის ღვთისმოსავ ოჯახში დაიბადა. 1952 წელს ვლადიკავკაზის 22-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა მოსკოვის სასულიერო სემინარიაში განაგრძო.

1957 წლის 16 აპრილს სასულიერო აკადემიის მე-2 კურსის სტუდენტი ილია მეორე საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, მელქისედეკ III-ის ლოცვა- კურთხევით თბილისის წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში ბერად აღკვეცეს და მას სახელად ილია უწოდეს. 1960 წელს მოსკოვის სასულიერო აკადემია პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა.

1963 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, ეფრემ მეორის მიერ არქიმანდრიტი ილია ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის ეპისკოპოსად აკურთხეს, 1967 წელს კი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსად გადაიყვანეს. ორი წლის შემდეგ ილია მეორე მიტროპოლიტის ხარისხში აიყვანეს. ილია მეორემ სოხუმში 11 წელი დაჰყო.

საქართველოს მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქის, დავით მეხუთის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წლის 23 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა კათოლიკოსი ილია მეორე პატრიარქად აირჩია. ილია მეორის ინტრონიზაცია 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მოხდა.

საპატრიარქოს ინფორმაციით, პატრიარქის აღსაყდრების დროს საქართველოში 15 ეპარქია იყო და დაახლოებით 30-ზე მეტი მოქმედი ტაძარი. დღეისთვის სულ 47 ეპარქიაა, პატრიარქის ჩათვლით კი, 48 მღვდელმთავარი, მათგან 3 ტიტულარულია. გაიზარდა ტაძრების, მონასტრების, ბერ-მონაზვნებისა და სასულიერო პირების რაოდენობა. დღეისთვის საქართველოში დაახლოებით 2 ათასამდე მოქმედი ეკლესია-მონასტერია და 3 ათასამდე სასულიერო პირი და ბერ-მონაზონი.

დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და ქართველთა ბედნიერების სიხარული ნუ მოაკლოს უფალმა საქართველოს სულიერ ლიდერსა და წინამძღოლს!

ალილო შობის დღესასწაულის ტრადიციული ატრიბუტია

შობის დღესასწაულზე, ფოთში ტრადიციული ალილო გაიმართა. სადღესასწაულო მსვლელობა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძრიდან დაიწყო. მლოცველებმა ალილოს სიმღერით შემოიარეს ქალაქის ქუჩები და შეჭირვებული ოჯახების დასახმარებლად შემოწირულობები შეაგროვეს.

ალილოს მონაწილეებს, მერის ადმინისტრაციულ შენობასთან ქალაქის მერი ირაკლი კაკულია, მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია და სხვა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეურთდნენ და ტკბილეული და საჩუქრები გადასცეს.

საშობაო ნობათი სოციალურად შეჭირვებულ მოქალაქეებს გადაეცათ.

ალილოს ტრადიცია საქართველოში 15 წლის წინ აღდგა და საყოველთაო დღესასწაულის სახე მიიღო. ყოველი წლის 7 იანვარს, შობის დღესასწაულზე ალილოს მსვლელობაში ათასობით მართლმადიდებელი მონაწილეობს.

„დღეს მართლმადიდებლური სამყაროსთვის განსაკუთრებული დღეა. ჩემს თანაქალაქელებს და სრულიად საქართველოს ვულოცავ მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღესასწაულს და სიკეთეს, რწმენის სიმტკიცესა და მხნეობას ვუსურვებ. როგორც ყოველთვის, წელსაც სიამოვნებით შევუერთდით ალილოს ტრადიციულ მსვლელობას და საშობაო საჩუქრები გადავეცით”, - განაცხადა ირაკლი კაკულიამ.

ჩამოყალიბდა მშენებელ-ექსპერტთა ჯგუფი

საზოგადოებრივი სათათბიროს მოქმედება

2017 წლის 13 იანვარს შედგა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი სათათბიროს სხდომა, რომელსაც ხელმძღვანელობდა სათათბიროს თავმჯდომარე გერონტი კუხალეიშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ სათათბიროს წევრები: ბეჟან ჯალადანია, ნანა თოფურია, გია დარჯანია, ვაგნერ მხეიძე, ნუგზარ ჟვანია, ია თოდუა, ნაპო თოდუა, ლუიზა ჩხეტია, ოლეგ ნაჭყებია, ჯემალ მიგინეიშვილი, ჯემალ გურგენაძე, ჯემალ გიგიბერია, პაატა გეგენავა, გრიგოლ ღვანია, ირა ფაცია, გიზო ხარჩილავა.

სხდომამ დაამტკიცა საზოგადოებრივი სათათბიროს ახალი შემადგენლობა და სათათბიროსთან არსებული კომისიები და 2017 წლის პირველი კვარტლის სამუშაო გეგმა. ასევე განიხილა და დაამტკიცა 2017 წლის პერსპექტიული განვითარების ძირითადი მიმართულებები.

საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარემ წარადგინა წინადადება, რომ განახლდეს სათათბიროსთან არსებული ქალაქდაგეგმარებითი ინფრასტრუქტურული და კეთილმოწყობის პროექტების განხილვისა და შეფასების კომისია გრიგოლ ღვანიას თავმჯდომარეობით და მასვე დაავალა კომისიის განახლებული წევრებით დაკომპლექტება.

საზოგადოებრივი სათათბიროს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ქალაქ ფოთს კვალიფიციური პროფესიონალები უნდა აშენებდნენ და ძალიან სამწუხაროა, რომ ქალაქში მიმდინარე მშენებლობები თვითდინებაზეა მიშვებული და არ არსებობს საპროექტო და სამშენებლო ლიცენზირებისა და სერტიფიცირების სისტემა, რაც სამშენებლო ობიექტების არასრულყოფილი ხარისხით ჩაბარებას განაპირობებს.

შესაბამისად აუცილებელია საზოგადოებრივ სათათბიროსთან შეიქმნას ქალაქის საპატიო მოქალაქეებით დაკომპლექტებული ექსპერტთა ჯგუფი, რომლებსაც მშენებლობის საკითხების კურირება შეუძლიათ.

სათათბირომ გადაწყვიტა: საზოგადოებრივ სათათბიროსთან შეიქმნას ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი შემადგენლობა: ნაპო თოდუა, (თავ-რე), ჯემალ გურგენაძე, ჯემალ გიგიბერია, ჯემალ მიგინეიშვილი, გიზო ხარჩილავა, გრიგოლ ღვანია, ემზარ კუპრაძე, მამუკა ყურუა, რომლებიც ქალაქში განსახორციელებელი პროექტებისა და მშენებლობების მიმდინარეობაზე მეთვალყურეობას განახორციელებენ.

დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის მამანტი ძაძამიას უკვდავ ხსოვნას კოილხურ-მეგრული ლექსიკონი-გზა ცივილიზაციის საიდუმლოებისაკენ

არიან ადამიანები, რომელთა ღვაწლი მარადისობასთანაა წილნაყარი, რამეთუ თავად მათი ქმნილებაა მარადიული - აუიწონავი და შეუფასებელი, ასე რომ, დიდი კაცის გარდაცვალების შემდეგ ხსოვნა როგორც სიცოცხლის გაგრძელება და დამსახურების საზომი უსასრულობაში, უკვდავებაში გადადის. მამანტი ძაძამიას სიცოცხლეც სიკვდილით არ მთავრდება და არ არის განაჩენი მისი სიცოცხლისა. გარდაცვალება ცოდვილთათვის არის სიკვდილი, თორემ განწმენდილთათვის უკვდავების დასაწყისია. დიდმა მეცნიერმა და მამულიშვილმა უკვდავყო ქართველი ერის თვითმყობადობა - ისტორია კულტურა, რომლის მარადიულობისა და თვითმყოფადობის უპირველესი ნიშანი ენაა. ,,მეგრული ენის ლექსიკა და წარმომავლობა", რომელიც 7 ტომად გამოსცეს მამანტი და ცირა ძაძამიებმა, მსოფლიო მნიშვნელობის ფუნდამენტური ნაშრომია, ესაა პროტო ქართული ენა - საქართველოს ისტორიის საწყისი, როგორც ერთიანი სულიერი და კულტურული სივრცე, რომელიც ერის ისტორიას ინახავს და მისი ინტელექტის საზომია, რასაც შორეული წარსულისკენ მივყავართ და რომელთა უგულებელყოფით ათასწლეულებს ვუკარგავთ ქვეყანას თავისი არსებობისა. დიდმა მეცნიერმა ტიტანური შრომის ფასად შეძლო დაემტკიცებინა, რომ მეგრული ენა საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალური მოდელია და ნომერ პირველი საოცრებაა დედამიწაზე. იგი დიდი წმინდანებისა და ღმერთების ენაა, ამ ენას, როგორც კაცთა მოდგმის ისტორიის მესაიდუმლეს, არათუ საქართველომ, მსოფლიომ უნდა უპატრონოს. ეს ზოგადსაკაცობრიო სიმდიდრე ყველას საკუთრებაა, ლექსიკის, აზროვნების ასეთი მარაგი მილიონობით სიტყვაშია ჩაკირული. აი, რა საგანძური დაუტოვა მამანტი ძაძამიამ შთამომავლობას, რომელმაც უნდა იცოდეს საიდან მოვდივართ, საით მივდივართ, სად გაჩერდნენ მამები.მათ უნდა შეინარჩუნონ და გადაარჩინონ ათასწლეულების განმავლობაში შექმნილი ენა, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობის საწყისი.

გლოვის ზარმა ჩამოკრა სამეგრელოს გულში, წალენჯიხის რაიონის ერთ პატარა სოფელში, ეწერში, უკანასკნელკ გზაზე უნდა გავაცილოთ კაცი კოლხურ-მეგრული ლექსიკონის შემქმნელი, დიდი მეცნიერი მამანტი ძაძამია. ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი გერონტი კუხალეიშვილი, აკადემიის წევრები: გია დარჯანია, ვაგნერ მხეიძე, ჯონი გურგენაძე, ბეჟან ჯალადანია, ნანა მხეიძე, დოდო ხუხია, ელდარ მხეიძე, ზურაბ აბრალავა შეუერთდნენ დიდ სამგლოვიარო პროცესიას. აქ იყვნენ სხვადასხვა რეგიონებიდან მეცნიერები, თანამებრძოლები, გიგლა ბახტაძე, რობერტ ნადარაია, როსტევან გვარამია და სხვები. ისინი ხომ ეროვნული მოძრაობის სათავეებთან იდგნენ და ბევრი მწარე დღეებიც განაცდევინეს სამსობლოს სიყვარულისთვის.

ლამაზი კარმიდამო კოლხურ სიდიადეზე მიანიშნებს, ირგვლივ დათოვლილი მთებია, მკაცრი და შეუვალი. ქარი აშრიალებს საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დროინდელ შინდისფერ დროშებს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ვაჟკაცებს რომ უჭირავთ. სამგლოვიარო მიტინგზე უკანასკნელად დაუჩოქეს მეგობრებმა, ახლობლებმა ამ ულამაზეს კაცს და ტკბილი მგზავრობა უსურვეს დაღლილს, ნაშრომსა და ნაწვალევს.

,,მიდიხარ ისე მიგაქვს წვალება,
თითქოს ზღვის პირას თივას
თიბავდე,
ვინა თქვა შენი გარდაცვალება,
არა, უთუოდ დღეს დაიბადე!"

დიახ, წავიდა ჩვენგან, თუმც სიკვდილმა კიდევ ერთხელ გააცოცხლა იგი ერის წინაშე დიდი სამსახურის გამო. ამიტომაც გვასწავლის ბიბლია-სიკვდილის დღე სჯობს დაბადების დღეს.

სამგლოვიარო მიტინგი - მღელვარე გამოსვლები, ცრემლით, სინანულითა და სიამაყით. გამომსვლელთა შორის იყვნენ ზაურ კვარაცხელია, კუკური ფიფია, რამინ ახალაია, როსტევან გვარამია, სერგო წურწუმია, მალხაზ გრიგოლია, ავთანდილ ცირამუა, სოსო ციმინდია, ალეკო თოდუა. ზაურ ნაჭყებიამ წაიკითხა ნოდარ ჭითანავასა და ალექსანდრე ჭაჭიას სამგლოვიარო წერილები. მამის ღვაწლის დაფასებისათვის მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას ბესო ძაძამიამ. გული ჭითანავამ აღასრულა მეგობრის დანაბარები და მეგრული ცრემლნარევი სიმღერით გააცილა იგი. ეს იყო დარდი არყოფნისა, რომ სიცოცხლე კაცად ყოფნის სევდა ყოფილა.

სამგლოვიარო მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი ბატონი ნუგზარ ნადარაია. მათ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდათ. ერთად იღწვოდნენ კოლხეთის - საქართველოს წინარე ისტორიის კვლევისათვის.

აქვე გთავაზობთ ნუგზარ ნადარაიას სიტყვას:

,,მთები, მთები და ცხოვრების
მწვერვალებზე ამაღლების
მოსურნეთა მხედრობა.
თუ ხარ მონა ამ ქვეყნად არავინ
აღარ გენდობა".

მორჩილების მონური ღიმილი, ნაცვლად თავისუფლებისა ვერ შეგბეღეს, ვერავინ გადმოგაბრალათ. მათ იციან, თქვენ, რომ ქართველთა მატეანის უპირველეს ენას იკვლევდით და კოლხეთის ისტორიის უფსკრულეთის ნაპრალებში აღმოჩენილ წინაპართა ნაფეხურებს შეჰყურებდით-უკვდავყოფით... რადგან, ისტორიული ფაქტები სამწუხაროდ ცხადყოფს, რომ მშობლიური ენის უპატივცემულობით საბოლოოდ კვდება იგი, რაც ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხების გადაგვარება-გადაშენებას და გარდაუალ სიკვდილს განაპირობებს! ფრთხილად ქართველებო! ფრთხილად, გფარავდეთ ღმერთი... ამინ!

ბატონი მამანტი ბესარიონის ძემ სიცოცხლეშივე აღიარებულმა მემატიანემ, კორიფემ, მშობელი ხალხის საფიცარმა მამულიშვილმა მეცნიერული მემკვიდრეობით უკვდავყო რა საქართველოსა და ქართველი ერის თვითმყოფადობა, ისტორია, კულტურა, თავადვე კაცობრიობის მარადიული ღირებულებების ჩაუმქრალ ვარსკვლავად გაბრწყინდა. ჩვენ ფაზისელ ,,ცოტნეიდელებს" ე.ი. ,,აღმსარებელთ ცნებისა უფლისა და დამდებელთ სულისა თვისისა საქართველოსა და მოყვასთათვის", გვეამაყება, რომ ,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის სამეცნიერო საბჭომ 2007 წლის 25 მაისს მხარდაჭერის ისტორიული გადაწყვეტილებით რეკომენდაცია გაუწია ფუნდამენტალური ნაშრომის ,,მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა" 7 ტომეულის გამოცემას, სადღეისოდ დადასტურებულია, რომ უძველესი მეგრული ენა, ერთ-ერთი ქართველური ენაა და იგი ქართული სალიტერატურო თანამედროვე ენის წინამორბედ ენად გვევლინება, როგორც პროტო-ქართული-კოლხური ფენომენი. მეცნიერულ დასკვნებს ეხმიანება და იდენტურად ადასტურებს ფესტოსის დისკოს წარწერის გაშიფრვა: ძველკოლხური, ძველიბერიული, ე.ი. ქართული სულ მცირე 4000 წლოვანი ოქროდამწერლობით.

ამდენად, ღვთისწყალობით ნათელი გახდა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა 40 საუკუნის წინათ ფუნქციონირებდა თავისი სახელმწიფოებრივი ენითა და დამწერლობით, რომ ძველ კოლხურ მეგრული ენა კილო-კავი,თუ დიალექტი არასდროს არ ყოფილა. ამდენად, ჭეშმარიტი ქართველისთვის შეურაცხმყოფელი ბრალდება ,,მეგრული რევანშისტული სეპარატიზმისა" ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და გონიერი მტერის თუ უგუნური მოკეთის მიზეზით, საერთო ტკივილია,ერთიანი ქართული სხეულის ხერხემალშივე გადატეხის მიზნით ჩაფიქრებული. პროტო-ქართულ, ძველკოლხურ, ძველიბერიულ, ძველმეგრულ ენაზე მიმდინარეობდა სწავლება ფაზისის-კოლხეთის სამეცნიერო-საერო აკადემიაში, რომელშიც ცოდნის მაძიებელნი ევროპიდან და აზიიდან მოემართებოდნენ. სახელგანთქმული ბერძენი ფილოსოფოსები და ორატორები ევგენიოსი და თემისტიოსი ფაზისში შორეული კესარიიდან ჩამოსულები აქ ცოდნის დაუფლებით ამაყობდნენ კიდეც, ურჩევდნენ რა, სწავლა-განათლება მათ შეგირდებს სწორედ შორეულ კოლხეთში-ფაზისში მიეღოთ. ძველკოლხურ ,,მეგრულ" ენაზე მეტყველებდნენ მედეა და იაზონი, აიეტი, კირიკე, ქუჯი ეგრისელი, ლაზი მეფე გუბაზ II, მსოფლიოში სახელგანთქმული ორატორები: აიეტი, ფარტაზი, წათე, რომელთაც ფაზისის აკადემია ქონდათ დამთავრებული. სადღეისოდ, ღვთისწყალობითა და ნებით ძველი კოლხური მეგრული ენა გაბრწყინდა და მკვდრეთით აღდგა ვითარცა წმინდა ლაზარე... გულწრფელად და გულმხურვალედ გმადლობთ ღვაწლმოსილო და ვალმოხდილო სულმნათო ბატონო მამანტი, რომ ჩვენ თანამდროვენი, ფასდაუდებელი გამოკვლევებით და ნივთმტკიცებებით უკვდავების ნათელით რომ გაგვანათლეთ... ჩვენს მშობლიურ წალენჯიხელებთან ერთად -კაცმა ლეგენდამ, კაცმა მენცარმა-ჩქინტომბა კოჩქ, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II აღმშენებლის საგალობლების ძალითა და იმედის ხატის ღვთივ ნაკურთხი მადლით.

ქართული თვითმყოფადი გენისა და ფენომენის სადიდებლად გვფარავდეს უფალი, ძე ღვთისა იესო ქრისტე. სულიწმიდის მადლით გაბრწყინდეს ქართველი კაცის ნიჭიერება, რათა ისტორიული სამართლიანობით გაიხაროს ,,ყოველმა ქართველმა", სიკეთემ - ,,ცოტნეიდელ-ჭყონდიდელობამ გაიმარჯვოს ბოროტებაზე - შადიმან - ფარსადანობის სინდრომზე. დიდება უფალს იესო ქრისტეს, რადგან მეფობს და სუფევს უფალი, ამინ! ჩვენთან არს ღმერთი, ღვთისმშობელი მარიამი, ზეციურ წმინდანთა დასი. მ.შ. კანონიზირებულნი საქართველოდან აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

უღრმესი პატივისცემითა და სამადლობელით შევთხოვ მაღალ ღმერთს სამოთხეში ნათელში იყოს წმინდა სული, სადაც მართალნი განისვენებენ...

დასასრულს როგორც, ერის სულიერი მამა,დიდი ილია ჭავჭავაძე, ილია მართალი გვმოძღვრავს გამოვხატავ ერთსულოვან პოზიციას,რომ სამეგრელო იყო, არის და იქნება საიმედო ისტორიული ხერხემალი ერთიანი, ძლიერი და განუყოფელი დედა საქართველოსი! ფოთი - ფაზისი კი მისი ზურგის ტვინი, აწდამარადის და უკუნითი უკუნისამდე ამინ! გვფარავდეს ღვმერთი... ამინ!

,,ფაზისის" საერო-სამეცნიერო აკადემიის სახელით, აკადემიის პრეზიდენტი, ე.მ. დოქტორი, ფოთის, მარტვილის, ხობის, იყალთოს, ჩარგალის საპატიო მოქალაქე ნუგზარ ნადარაია.

თბილისი-მცხეთა-ფაზისი-ქუთაისი-გელათი-ბათუმი-დიოსკურია-იყალთო-ზუგდიდი-მარტვილი-ხობი-წალენჯიხა-ჩარგალი-აბაშა-სენაკი-ჩხოროწყუ.

* * * * *

მიუყვებით აღმართს სოფლის სასაფლაოსაკენ, სინანული: ნუთუ საფლავისთვის გავჩნდით ამქვეყნად. ბებერი და მარად ჭაბუკი კოლხური მიწა-ჩვენი ოდაბადე, დროის უსასრულობის განცდა, წარსულმა უნდა გააღვიძოს მომავალი. ,,სამშობლო იწყება არა მაშინ როცა ადამიანი იბადება, არამედ როცა კვდება. სამშობლოს განცდა საფლავებით იწყება".

კიდევ ერთი საფლავი შეემატა კოლხეთს, ერისა და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი კაცისა, რომელიც დააკლდა სრულიად საქართველოს და არა მარტო. ამ პატარა სოფელში გადმოინაცვლა მსოფლიოს ენათმეცნიერების ცენტრმა. მისი ნაშრომები ათასწლეულებს გაუძლებს. დიდ მეცნიერს გულზე მივაყარეთ მშობლიური მიწა. ბატონმა ნუგზარ ნადარაიამ და მეუფე ბენედიქტემ ზარები ჩამოკრეს და მარადისობის ბინადარი უკვდავებისკენ გაცილეს. ღვთიურ სასუფეველში მიუვა თავის წინაპრებს, რომელთა უკვდავებას მთელი მისი მიწიერი ცხოვრება მიუძღვნა.

ღმერთს ებარებოდეს დიდებული სული იმ კაცისა, რომელმაც თაობებს დაუტოვა კოლხურ-მეგრული ლექსიკონი, როგორც ერის უკვდავი სული და სიცოცხლე.

ზ.აბრალავა

14 იანვარს ქართული თეატრის დღე აღინიშნა „თეატრი'' - ფოთის თეატრში

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა. თარიღის აღსანიშნავად, ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ლაშა ბუღაძის კომედია „თეატრი" წარუდგინა მაყურებელს. სპექტაკლის რეჟისორი გაბრიელ გოშაძეა.

ქართული თეატრის დღესთან დაკავშირებით, ქალაქ ფოთის მერის ირაკლი კაკულიას ინიციატივით, ფოთელ მსახიობებს საჩუქრად ფულადი ჯილდო გადაეცა.

პროფესიული დღესასწაულის აღნიშვნა 1850 წელს გიორგი ერისთავის მიერ დადგმულ სპექტაკლს "გაყრა" უკავშირდება.

ზაფხულში ანაკლიის პორტის მშენებლობა დაიწყება

მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი პორტოპერატორის SSA Marine-ის ვიცე-პრეზიდენტი ანაკლიას ეწვია. **ბობ ვოტერსმა** ანაკლიის პორტის პროექტის ტერიტორია დაათვალიერა.

ანაკლიის პორტის ოპერირებასთან დაკავშირებით ანაკლიის განვითარების კონსორციუმი მოლაპარაკებას მსოფლიო კლასის პორტოპერატორთან SSA Marine-თან მართავს. კომპანიის ვიცე-პრეზიდენტი ვოტერსი მოლაპარაკების ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრს **გიორგი კვირიკაშვილსაც** შეხვდა.

ანაკლიის განვითარების კონსორციუმი პორტის ოპერატორის გამოსავლენად მოლაპარაკებებს მსოფლიოს რამდენიმე წამყვან კომპანიასთან მართავს. პორტის ოპერატორის გამოვლენა 2017 წლის პირველ კვარტალში იგეგმება.

აშშ-ის უმსხვილესი სანავსადგურე სატერმინალო ოპერატორის, SSA Marine-ის სათავო ოფისი სიეტლში მდებარეობს. კომპანიის მფლობელობაშია ტერმინალები მსოფლიოს 9 ქვეყანაში. ოფიციალური ინფორმა-

ციით, SSA Marine წლიურად 27.2 მილიონ კონტეინერს (TEU) ამუშავებს. SSA Marine-ისსაქმიანობის სფეროს ასევე განეკუთვნება მშრალი ტვირთის დამუშავება და სამგზავრო-საკრუიზო გადაყვანები.

მეჩიის საახალწლო ღონისძიებები

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში, სპეციალურად პატარებისთვის, მოძრაობის თეატრის მსახიობებმა სპექტაკლი „აბრაკადაბრა" და საახალწლო - გასართობი შოუ პროგრამა წარმოადგინეს.

ღონისძიების ფარგლებში მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვთა ცენტრის პატარებს, მარტოხელა დედების შვილებს, დედ-მამით ობოლ, მრავალშვილიან ოჯახთა ბავშვებს მუნიციპალიტეტმა საჩუქრად საახალწლო ნუგბარი გადასცა.

საბავშვო ღონისძიება ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

შეხვედრა გუბერნატორთან ტურიზმისა და დასუფთავების თემაზე

ჩვენს უნიკალურ ბუნებას მსოფლიო უნდა იცნობდეს

„სამეგრელო-ზემო სვანეთი ყველაზე სუფთა რეგიონადაა აღიარებული და ამ სტატუსს წელსაც შევინარჩუნებთ. ტურისტული სეზონი მოდის და თქვენი მუშაობა უნდა გაათმაგდეს, რათა ტურისტებს შევხვდეთ უფრო სუფთა და მოწესრიგებულ გარემოში" - ეს განცხადება სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორმა ლევან შონიამ თათბირზე გააკეთა, სადაც ის რეგიონის გამგებლებს და მერებს შეხვდა. სახელმწიფო რწმუნებულმა ადგილობრივ ხელისუფლებასთან შეხვედრაზე მყარი ნარჩენების კუთხით არსებულ ვითარებაზე და საჭიროებებზე ინფორმაცია მერებისგან და გამგებლებისგან მოისმინა. მუნიციპალიტეტემა ნაგავმზიდები უკვე მიიღო, ნაგავშემკრებ კონტეინერებს კი უახლოეს პერიოდში მიიღებენ. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის 144 ნაგავმზიდი მანქანა და 7209 ნაგავშემკრები კონტეინერი შეიძინა. ტექნიკა საქართველოს 66 სხვადასხვა მუნიციპალიტეტს გადაეცემა. პროექტის ჯამური ღირებულება 12 მლნ ევროა. გუბერნატორის ადმინისტრაციის შენობაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ტურისტული სეზონისთვის მზადებას, მუნიციპალიტეტების მიერ ტურისტული ლიტერატურის და რუქების შექმნას. სახელმწიფო რწმუნებულის განცხადებით, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი მონაწილეობას მიიღებს გაზაფხულზე გერმანიაში დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენაში. „ჩვენი რეგიონი უნდა იყოს განსაკუთრებულად კარგად წარმოცენილი, ამისთვის ბევრი სამუშაოა. შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებით დაკომპლექტდება და მოგვიწევს ერთად მუშაობა, რომ საერთაშორისო გამოფენაზე მეტი ადამიანი დავაინტერესოთ ჩვენი რეგიონით" - განაცხადა გუბერნატორმა.

„ფაზისის" სალო - სამეცნიერო აკადემია მოქმედებს ფრიდრიხ ნიცშე -დიდი მოაზროვნე და არაორდინალური პიროვნება

ფაზისის აკადემიის ფოთის ორგანიზაცია (დოდო ხუხია) სისტემურ, გეგმაზომიერ პრაქტიკულ - სამეცნიერო მუშაობას ეწევა თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად. თემები შერჩეულია, როგორც კოლხეთის ისტორიის კვლევის, ისე ქალაქის პრობლემებიდან გამომდინარე. სესიებზე ხშირად იწვევენ სპეციალისტებს, ექსპერტებს დედაქალაქიდან.

თბილისიდან გვესტუმრა ცნობილი მედიკოსი, მეცნიერი ბატონი ხუტა პაჭკორია, რომელმაც საინტერესო ლექცია წაიკითხა ფრიდრიხ ნიცშესა და ზიგმუნდ ფროიდის ფილოსოფიურ შეხედულებებზე. დღეს განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა ნიცშეს შრომებზე, იგი პოპულარობით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა, მკვლევარმა, პროფესორმა მიმოიხილა ნიცშეს ცნობილი ნაშრომები ,,ასე იტყოდა ზარატუსტრა" როგორც თავად ნიცშე აღნიშნავდა ,,წიგნი ყველასათვის და წიგნი არავისთვის", ასევე ცნობილია მისი ფრაზა ,,ქრისტეს ჩემოდენა რომ ეცოცხლა ჩემსავით ჭკვიანი იქნებოდაო".

ასევე საინტერესო იყო თომას მანის შეხედულებები ნიცშესა და ფროიდის პიროვნებებზე ,,არა თანადროული ფიქრები", ,,ანტიქრისტე" და სხვა ქმნილებების მიმოხიოლვას მჰყვა კამათი, შეკითხვები, აზრთა ურთიერთ გაზიარება. რომელშიც მონაწილეობდნენ აკადემიის წევრები: ნაპო თოდუა, ვაგნერ მხეიძე, ვანო ნარმანია, ლუიზა ჩხეტია.

თუ გაზაფხული დაიგვიანებს

თუ გაზაფხული დაიგვიანებს,
მერცხლების ჭიკჭიკს არ
გაგვაგონებს,
თოვლის დიდ სამანს
გადაგვაფარებს,
ენძელას, იას აღარ ახარებს...
თუ გაზაფხული დაიგვიანებს,
არ გაცოცხლდება ყვავილგან
მინდვრები,
ყაყაჩოებით მოფენილ ველზე
არ აყვავდება იასამანი.
თუ გაზაფხული დაიგვიანებს
თავის სურნელით ველარ
დაგვათრობს,
გაიყინება თმილი გულები,
და მას ვერავინ ველარ გააღობს.

ლედი სახამბერიძე 13 წლის

პეტრე ქოჩაკიძე-ჭალადიდელი
ფიზიკის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი.

იესო ქრისტემ თავისი უკანასკნელი სიტყვები ძალდეურ, ანუ წინარექართულ ენაზე წარმოსთქვა

სიტყვა „ისტორია“ ლათინურია და ქართულად ქვეყნის ამბავს ნიშნავს. არაფერი გამოგივა, თუ ფესვები დაკარგე, თუ არ იცი, რა ჯიშის ხარ. ეს თუ წაიშალა, არათუ სახელმწიფოს, ოჯახსაც კი ვერ ააწყობ. სახელმწიფოს გამართვა ამის გარეშე წარმოუდგენელია, ბითურია ყველაფერი.



- ვინ მოიპარა ოთხი ათასწლოვანი ისტორია?

– დიახ, რა თქმა უნდა, ისე „კარგად და ლამაზად“ მოგვპარეს, მეტი რომ არ შეიძლება. ალბათ, „უნდა მოპარულიყო“ კიდეც. ზურაბ რატიანი ბოლო ამოსუნთქვამდე იბრძვის იმისთვის, რომ ერს თავის მოპარული ისტორია დაუბრუნდეს, რომელიც ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა დაწერეს – სამმა წმინდა მთის წმინდა მამამ. ესენი ერის მნათენი არიან. ეკლესიაში მნათემ სანთელი თუ არ აანთო, ვერ მიიღებ, ვერ დაინახავ მის სიკეთეს. მნათე არის, ვინც უნდა გაგინათოს. ჯავახიშვილმა, ჯანაშიამ და ბერძენიშვილმა „გაგვინათეს“ სიმართლე, თუ როგორი იყო ქართველთა წარმოშობა. ბევრისთვის ეს მიუღებელი აღმოჩნდა. ჩვენნაირი ისტორიის ერი მეორე არაა – არც ძველ ეგვიპტეს, არც ძველ რომს, არც ძველ საბერძნეთს მსგავსი ისტორია არ ჰქონია. რა თქმა უნდა, ეს ისტორია უნდა დამალულიყო, რათა ერს მისი წარმოშობა არ გაეგო. მოგახსენებთ, რომ სულ ცოტა 4 ათასი წელია მოპარული ქრისტეს მოსვლამდე. ნიშანდობლივია, რომ უდიდესი მეცნიერი, მკვლევარი რამაზ პატარიძე ნათლად ამბობს: იოანე ზოსიმე მოღვაწეობდა არა იმ პერიოდში, როგორც ჩვენ გვსმენია, არამედ გაცილებით უფრო ადრე. ნუთუ, იოანე ზოსიმეს წინასწარმეტყველება, რომელიც ქართულ ენას ოთხი დღის მკვდარ ლაზარეს ადარებს, დამთხვევაა? აქვე განვმარტავ, რომ ეს, ოთხი ათასი წლის მძინარესთან შედარებას ნიშნავს, რადგან თითოეული დღე მეტაფორულად ერთი ათას წელს უდრის. რას ნიშნავს ყოველივე, განა ეს დამთხვევაა?! 4 ათასი მოპარული წელი რადიკალურად სხვაგვარად ალაგებს მსოფლიო კაცობრიობის ისტორიას. ეს ოქროს გასაღებია, რაც ამ ტრიადამ მოგვცა. არსებობს ასეთი დიდებული წიგნი „საქართველოს ისტორია“, ავტორები: ივანე ჯავახიშვილი, სვიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი. გახსოვთ, ალბათ, უფალმა სვიმონს პეტრე დაარქვა. ასე მგონია, ჯანაშია, რომელსაც სვიმონი ერქვა, სწორედ ის პეტრეა. ფრესკებზე პეტრეს ხელში გასაღები აქვს, პავლეს – ხმალი. ეს ის ოქროს გასაღებია, რომელსაც საკეტს მოარგებ, გახსნი ამ კარს და გაოცდები იმით, რაც თვალწინ გადაგეშლება. იმ დროის მეცნიერებაში ამ წიგნმა უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ შემდეგ ასეთი წიგნი აღარ დაწერილა. საინტერესოა ისიც, რომ ეს წიგნი ქართულად, რუსულად, თურქულად და ინგლისურად დაიწერა. იგი ყველაფერს თავის ადგილზე ალაგებს. ბერძნები, ასირიელები, ეგვიპტელები ამტკიცებენ, რომ ქართველთა წარმომავლობა ესაა შუმერული, ხეთური, სუბარული, პელაზგური, ლაზური, იბერიული... ინდო-ევროპიელი ბერძნების მიერ იქნა დაპყრობილი ის ტერიტორია, სადაც წინარე-ქართველები – პელაზგები ცხოვრობდნენ და შემდგომ საბერძნეთი დაერქვა. მათ ველური ტომი იპყრობს და მისი კულტურის ბოლომდე მითვისება, მიტაცება ხდება. ასევე მოხდა ინდოევროპიელი რომაელების მიერ იმ ტერიტორიის დაპყრობა, სადაც წინარე ქართველები – ეტრუსკები ცხოვრობდნენ. მას შემდეგ, რომი დაერქვა. მოხდა წინარე ქართველთა კულტურის მითვისება. ეტრუსკებიც იგივე წინარე ქართველი ტომები არიან, მაგრამ რომაელებმა თქვეს, რომ მათი კულტურა მთლიანად ეტრუსკების კულტურიდან გამომდინარეობს. ევროპის ჩრდილოეთით წინარე-ქართველნი ბასკების სახით, იბერიის ნახევარკუნძულზე სახლობდნენ. უცნაური რამ მივიღეთ, არა?! უფრო აქეთ თუ წამოვალთ, საინტერესოა ხეთები. სხვათა შორის, ხეთები და სუბარები წინარე ქართული ტომებია, ხეთებს ეგვიპტის ფარაონთან ბრძოლა აქვთ. ქრისტეს მოსვლამდე 1478 წელია და ხეტუშილ III ხეთების მეფეა. მან ეგვიპტე დაიპყრო და დაპყრობილ ფარაონს ორთვლიანი საომარი ეტლი და ცხენი აჩუქა. ეგვიპტელები წერენ, რომ ცხენი და ეტლი ნანახი არ ჰქონდათ. საინტერესოა ისიც, რომ ასურული (ლურსმული) დამწელობით ხეტუშილ მეფე იძახდა სიტყვებს, რასაც დღეს ხშირად ვიმეორებთ – „ჩემმან მზემ“ ვენახი მოვიყვანე, წყლის არხი გავიყვანე და სხვა. თუ სხვები დაპყრობისას წერდნენ – გავანადგურე, გადავწვი, ქართულ ხასიათებში სხვა რამეს ვაწყდებით. ეს მცირე მაგალითებია, რის გამოც ისტორიის ეს ნაწილი დაგვიმალეს. მე და ზურაბ რატიანი შევხვდით განათლების მინისტრს თამარ სანიკიძეს. იგი ახალგაზრდაა და შეიძლება არ სცოდნოდა ამ წიგნის შესახებ, რადგან აკრძალული იყო. ეს წიგნი 1953 წელს აკრძალეს და ქართულ სკოლებში აღარ ისწავლებოდა. ავუხსენით, რომ იგი სკოლებში უნდა დაბრუნდეს, რათა საქართველომ გაიგოს, ვინ ვართ. თუ საძირკველი დანგრეულია, რაც არ უნდა ტრაქტორი, საჭმელი იყიდო, ქვეყანას ვერ ააშენებ. ნაყოვანებით კაცობიობის ისტორიაში ქვეყანა არსად აშენებულა. ეს იდეა მინისტრს მოეწონა და იმედი მაქვს, ერს დაუბრუნდება ის, რაც მოპარეს. აქ თვალნათლივ ჩანს ქართველების წარმომავლობა, საიდან მოდიან, რამხელა ისტორია აქვთ. აქ საუბარია ქრისტეს მოსვლამდე 4 ათას წელზე, თორემ ეს რომ კარგად დაალაგო, 7-8 ათასი წელი გამოდის.

- რა ენაზე წარმოსთქვა ჯვარზე გაკრულმა იესომ უკანასკნელი სიტყვები?

- ქალდეველები ის ხალხია, ვინც ღვინო და პური მოიყვანა. სხვათა შორის, პურს ძველბერძნულად პურეი ჰქვია. გადის 7-8 ათასი წელი, მოდის იესო და ამბობს: პური ხორცია და ღვინო სისხლია ჩემიო. ამას საკრალური, ეზოთერული დატვირთვა აქვს. უფალი ამბობს, ქართველი კაცის მიერ მოყვანილი პური და ღვინო სისხლი და ხორცია ჩემიო, გესმით, რას ვამბობ? ამას დამალავდნენ, აბა, რას იზამდნენ?!

ბერძნებს ლევან სანიკიძე ისტორიაპარვიებს ეძახდა. ბერძნები მითოლოგიის დიდოსტატები არიან. პრომეთე, რომელმაც ზევსს ცეცხლი მოპარა, წამოიყვანეს და იალბუზზე მიაჯაჭვეს. კი, მაგრამ, მათ მთა არ ჰქონდათ, ბატონო, აქეთ რომ არ წამოეყვანათ? ეს რატომ, იცით? – ამირანია აქედან წაღებული. კარგად ვიცით, ქრისტეს მოსვლამდე 1300 წელს იასონი რომ შემობრძანდა, პირველად ნახეს შადრევანი ღვინისა, წყლისა და რძისა. მათ საოცარი კულტურა, შეუსწავლელი კოლხური ცივილიზაცია პირველად ნახეს. ენის თაობაზეც ცნობილი არაფერია.

უფალს ეროვნება არ შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ მნიშვნელოვანია ერთი გარემოება: როდესაც უფალი ჯვარს გააკრეს, მან ბოლო სიტყვით მამას მიმართა: – ელი, ელი, ლამა საბექთანი. სულხანსაბას თუ ჩავხედავთ, ამბობს: ელოი, ელოი. ზოგიერთმა ჩვენმა მეზობელმა, რადგან ქრისტემ ელი თქვა, ჩათვალა, იესო სომეხი იყოო. საქმე ისაა, რომ ეს არც სომხურ და არც ებრაულ ენაზე ნათქვამი არაა. მაშინ გამოდის, რომ მის ებრაულ წარმომავლობას ეს ფაქტი ნაცარს აყრის. არადა, ეს ნამდვილად არაა ებრაული ენა. მაშ რა არის? – ადამიანი, ფსიქოლოგიურად, ბოლო ამოსუნთქვისას მის ენაზე, დედაენაზე საუბრობს. ეს ქალდეური ენაა. ხშირად საუბარია არამეულ ენაზე. ამ ენას ვაჭრები, ხელოსნები იყენებდნენ და ძალიან ცდილობენ, ებრაელობასთან ახლოს იყოს. მაგრამ ნურას უკაცრავად, არ გამოდის ასე და გეტყვით, თუ რატომ – ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველთან, ნაბუქოდონოსორთან შეხვედრისას ვკითხულობთ: ქალდეველებმა არამეულ ენაზე უპასუხესო. ნეტარი ერონიმე სტრადონელი, რომელიც 380 წელს ქრისტეს შემდეგ მოღვაწეობდა, ამბობს: საფუძვლიანად შევისწავლე ებრაული და ქალდეური ენებიო. ესე იგი ყოფილა განსხვავება?! ამას მე, პეტრე ხომ არ ვიგონებ? კიდევ ერთ რამეს დავუკვირდეთ. იოანე პეტრიწის მასწავლებლები – იტალოსი და დიადოხოსი იყვნენ. „თეოლოგიის მთავარსაფუძვლების“ ბოლოსიტყვაობაში ვკითხულობთ – ქალდეური, ელინური და ებრაელური ცივილიზაციების სიბრძნეთა საფუძვლებზე აღმოცენდა ახალი ქრისტიანული აზროვნებაო. ანუ ქალდეური, ელინური და ებრაული სხვადასხვა ყოფილა, ხომ?

ქართველებმა ჩვენი უდიდესი კულტურა ვერ გავაცანით მსოფლიოს, „ფროიოუშენი“ არ გვივარგა, რაც სომხებს 5-იანზე აქვთ. და-ძმა უორდროპები რომ არა, მე-19 საუკუნემდე მსოფლიო კაცობრიობამ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ არა იცოდა.

- ღვთისმშობელი ქართველი იყო?

– დავით აღმაშენებელი „გალობანი სინანულისაში“ მარიამ ღვთისმშობელს ქართველად მოიხსენიებს, მაგრამ იმავე კუპლეტში წერია – შენ, სიკეთეო ეგვიპტისაო. წესით, ხომ უნდა თქვას ისრაელისაო. რატომ არ ამბობს? – ამას ახლავე აგიხსნით – მსოფლიო კაცობრიობის ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტე გვეუბნება – მთელი ეგვიპტის კულტურა კოლხეთის კულტურის გაგრძელებაოო. კოლხებმა უფრო მეტი იციან ეგვიპტელებზე, ვიდრე ეგვიპტელებმა კოლხებზე. ჰეროდოტეს თუ დავუჯერებთ, მაშინ მსოფლიო ისტორია რადიკალურად იცვლება. ამ დროს ისტორიის მამას ჰეროდოტეს არ უჯერებენ და იგი „ბიცოლად“ გამოჰყავთ. ზუსტად ეს მინიშნება აქვს დავით აღმაშენებელს, როცა მარიამ ღვთისმშობელს ეუბნება – შენ სიკეთეო ეგვიპტისაო. პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ მისი წარმომავლობა პროტო-(წინარე) ქართულია. უფალმა ელოი, ელოი მის ენაზე, დედაენაზე თქვა.

სომხური წყაროებიდან ვგებულობთ: ქალდეველების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია, ის ქართველი ხალხის ერთი ნაწილია. სომხები მოწმობენ, რომ ქალდეველი იგივე ჭანია, რომელმაც თურქეთში თავი დღემდე შემოინახა. ახლა გეტყვით, რას ნიშნავს ლამა სულხან-საბას მიხედვით – ვლამობ, ვაპირებ. ანუ ქრისტეს ნათქვამი ნიშნავს – მამა, რატომ მიმატოვე, რატომ აპირებ ჩემს დატოვებასო. სწორედ ამ სიტყვას ვაწყდებით სვანეთში, მე-19 საუკუნეში ერთ-ერთ დღესასწაულზე – მურყვამეობაზე (ეს კერპთაყვანისმცემლობიდანაა შემორჩენილი), სადაც სვანები თავიანთთვის გაუგებარ ენაზე ქალდეურ სიტყვებს ამბობენ. კერძოდ, ელი ტელიფია (ხეთების ნაყოფიერების ღმერთი) იოხ, იოხ, ანუ ღმერთს ეხვეწებიან, მეოხ გვყავიო. გარდა ამისა, სვანეთში არის სოფელი ქალდეა, ციხე – ქალდეა, გვარი – ქალდანი. მთელი თურქეთის ტერიტორიაზე თავიდან ბოლომდე სახლობენ: ზანები, ჭანები, ლაზები.

- რომელი ერი გადარჩება მეორედ მოსვლისას?

ძველ აღთქმაში დანიელ წინასწარმეტყველს ვაწყდებით, რომელიც ქალდეველია. ნაბუქოდონოსორის დროს ძალიან საინტერესო რამ ხდება: კედელზე გამოისახება წარწერა, მარჯვენა მტევანი წერს და მერე ქრება. ეს საოცარი ამბავია: მეფე პანიკაში ჩავარდა. წარწერა ვერავინ წაიკითხა. იქ იყვნენ ებრაელებიც, ასურელებიც. ერთადერთი ამის წაკითხვა ქალდეველმა შეძლო, იქ ეწერა – „შენი მეფობა მალე დამთავრდებაო“. მართლაც, იმავე ღამეს მეფე ქალდეველებმა მოკლეს. უფრო წინ თუ გადავინაცვლებთ, ნაბუქოდონოსორი ეუბნება თავის ხალხს, ქალდეველთა სწავლებანი, მეცნიერებანი, ენა უნდა შევისწავლოთ, ეს სხვანაირი ხალხიაო. სხვათა შორის, აქვე ვიტყვი, იესოს დაბადება მოგვებმა, ოღონდ ქალდეველმა მოგვებმა იწინასწარმეტყველეს. მათ იესოს შესახებ იცოდნენ. დანიელ წინასწარმეტყველი მესამე თავში ამბობს: მაშინ მაწევარმა ომახიანად დაიძახა: ხალხნო, ტომენო და ენანო, თქვენ კერპთაყვანისმცემლობის პატივისცემა გებრძანათ, ამ დროს იყო, რომ მოდგა ზოგიერთი ქალდეველი და იუდეველებს დაუწყეს ბრალის დადება. გამოდის, რომ იუდეველი და ქალდეველი სხვადასხვაა. იესო II – ქალდეველებმა მეფეს არამეულად უთხრეს. თავი XIII – სუსანას სასამართლოზე ღმერთმა დანიელის სული გააღვიძა, რომელიც ქალდეურ ენაზე იყვირებს სიტყვას, რომელსაც ვერავინ გაიგებს. რა თქმა უნდა, ქალდეურ ენაზე. კიდევ ერთი საინტერესო რამ მინდა გითხრათ: დანიელ წინასწარმეტყველს გამოეცხადა ღმერთი და უთხრა: მეორედ მოსვლისას შენი ხალხი გადარჩებაო. იოანე ზოსიმე კი გვეუბნება, რომ მხოლოდ ამ ენით გაცხადდება მეორედ მოსვლა, მოსვლა ძე ღვთისაო. გვატყუებს ვითომ იოანე ზოსიმე? აქვე კიდევ ერთი ნიშანდობლივი რამ იკვეთება. ეს ამბავი სინას მთაზე მოხდა. სწორედ იქ, სადაც მოსეს უფლის მიერ 10 მცნება მიეცა. დარწმუნებული ვარ, იოანე ზოსიმესთვის იმის თქმა, რომ ქართულ ენაზე გაცხადდება მეორედ მოსვლა, ესეც უცილობლად უფლის ნათქვამია და არა ზოსიმეს მოგონილი. აქვე ერთ რამესაც გეტყვით – სინას მთიდან საგალობელის ჩამოტანით ქართველმა ერმა და მისმა მისიამ ერთმანეთი იპოვეს. ქრისტიანობის მსოფლიო ბედისწერაში ქართულ ენას ერის მისია ჰქვია.

- რა ეწერა ფესტოს დისკოზე?

- ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს დამახასიათებელ შემდეგ განსაზღვრებას ვხვდებით – ახალი ნინო – ამბობს იოანე ზოსიმე, რაც უშვებს ძველი ნინოს არსებობას. რას ნიშნავს ეს? – აკადემიურ მეცნიერებაში სიტყვა ნინოს ფუძე ნინ – ფონეტიკური სახესხვაობაა ნენ და ნან-ის. ქრისტეს მოსვლემდე ბერძნები კოლხეთში შემოდიან და საოცარ ძეგლს ხედავენ – ქალი ზის, ფერხთით ლომებია გართხმული, ხელთ კემბალი უჭირავს. ბერძნები ზევსის დედას მიამსგავსებენ. ეს ღვთისმშობელი იყო. რა თქმა უნდა, მარიამი არ ჰყავდათ მხედველობაში იმიტომ, რომ ამ დროს ჯერ არ არსებობდა. სიტყვა ღვთისმშობელი მარიამამდე ადრინდელია. აქვე ერთ საინტერესო ამბავს მოგახსენებთ. საბერძნეთში ფესტოს სასახლეში 1800 წელს დისკო აღმოაჩინეს, რომლის წაკითხვა ვერავინ მოახერხა. ეს მოახერხა ერთმა ქართველმა მათემატიკოსმა მეცნიერმა კვაშილავამ. ეს იყო არა ლურსმული, არამედ იეროგლიფური დამწერლობა. შეამოწმეს დისკოს წარმომავლობა და იგი 2000 წლის აღმოჩდა ქრისტეს მოსვლამდე. ამ დისკოზე ნენნანას საგალობელი ეწერა, ანუ ახალი ნინო ძველი ნინოს მოსახელეა.

საინტერესო ამბებს ვაწყდებით გილგამეშიანშიც. ეს 1500 წლით ადრეა დაწერილი, ვიდრე ძველი აღთქმა. ესაა შუმერულ, ხეთურ, არქაულ და ხურიტულ ენებზე დაწერილი. აქ საოცარ ამბავს ვაწყდებით – დედა-ღმერთს-ღვთისმშობელს ერქვა (ნინ)-ხასარგ, მეორეს – (ნინ)-ტუმ, მესამეს – ინ-(ნანა). ეს დამთხვევებია? მინდა გითხრათ, რომ ღვთისმშობლის მიძინება დღევანდელი თურქეთის, ყოფილი კოლხეთის ტერიტორიაზე, გნებავთ, შემდგომ ტრაბზონის იმპერიის, იზმირიდან დაახლოებით ერთი საათის სავალზე მოხდა. ბევრმა არ იცის, რომ ეს ისრაელში არ მომხდარა. ესეც ერთგვარი მინიშნებაა. ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმაზე, რომ ეს ტერიტორია წინარე ქართულია, მერე მოდიან ძველბერძნები, ინდო-ევროპელები. ჩვენ ქართველები იაფეტური მოდგმის ვართ. ახლა რომ საუბრობენ ევროპისკენ სვლაზე, ეს ხომ სასაცილოა – თავად ჩვენ არ ვიცით, ვინ ვართ. ქართველებს თვითმმართველობა მე-11 საუკუნეში ჰქონდათ, მსოფლიოში ამას მხოლოდ 50 წლის სტაჟი აქვს.

დაადგენილია, რომ ქართული ენის აგებულებას არაფერი აქვს საერთო არც ინდო-ევროპულ, არც სემიტურ, არც ურალურ-ალტაურ, კერძოდ, თურქულ ენებთან და რომ ის ხეთურ-იბერიულ ენების და, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის აგებულებას ემთხვევა (ჯავახიშვილი, ჯანაშია, ბერძენიშვილი). აღმოჩნდა, რომ ქალდეურის ნივთიერი და სულიერი კულტურა შუმერული, ხეთური, სუბარული ცივილიზაციის ორგანული ნაწილია. დასახელება ძველი ბერძნული წყაროებიდანაა ცნობილი. დიალექტური ფორმის სახით. ბევრი ქვეყნის შვილი ვერ წარმოთქვამს ქ-ს და ხალდეას ხმარობს. ქალდეას და ქალდას ორივე სახელწოდებას ერთნაირი ფუძე აქვს, დაბოლოებებით განსხვავდებიან, თუმცა ორივეს დაბოლოება წმინდა ქართულია. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე და ჭოროხის სათავეში მცხოვრები ქალდების ეთნიკური ვინაობა სრულიად უეჭველია. ისინი ქართველი ხალხის ერთ ნაწილს შეადგენდა. რიგი სომხური წყაროები მოწმობენ, რომ ქალდეველები იგივე ჭანებია, რომელთაც დღემდე შემოინახეს თავი თურქეთში შევიწროების მიუხედავად.

- ებრაელი ღმერთი – იაჰვე თავის ხალხს ქალდეურად ლოცვისკენ მოუწოდებდა(!)

- ახლა ყველაზე მთავარს გეტყვით, საიდანაც უკვე ძალიან დიდ ამბავს ვაწყდებით. ეს რომ წავიკითხე, გავოგნდი. თალმუდში წერია – თუ ებრაელს სურს, რამე სთხოვოს ღმერთს, ანგელოზებისგან საიდუმლოდ, ქალდეურად უნდა ილოცოსო. ამას ამბობს იაჰვე – ღმერთი ებრაელთა, რადგან მარტო მან იცის ეს ენა. ანუ იაჰვე ეუბნება ებრაელებს, ქალდეურად ილოცეთო. ეს უპირატესობაა, რომელიც ქალდეველებსა და ქალდეურ ენას ენიჭება. თალმუდში ბოროტის შექმნა და გაყოფა სულად, ფორმად და სხეულად თავიდან ბოლომდე ძველ ქალდეველებისგანაა ნასესხები. რა ვქნათ, არ ვთქვათ ეს? მიუხედავად იმისა, რომ შოთა გვეუბნება – არ შეამოკლოთ ქართული, არა ჰქმნათ სიტყვამცირობა, ანუ გვეუბნება, თქვენი ენა არ დაამციროთო. კარგად მოგესხსენებათ, დღეს რაც დავმართეთ ჩვენს ენას.

ნოემბერში ვაპირებთ ფოთში ფაზისის აკადემიასთან ერთად, საერთაშორისო კონფერენცია ჩავატაროთ, სადაც ეგვიპტის, ათენის, რომის, ოქსფორდის, სტამბულის, ლენინგრადის, მოსკოვის, თბილისის უნივერსიტეტები მიიღებენ მონაწილეობას. აქ ინახება მასალები კოლხეთის ცივილიზაციის და ამ საკითხების შესახებ. ხსვები ამბობენ ჩვენზე – ვინ ვართ და საიდან მოვდივართ. ჩვენ არ ვამბობთ. დიდი მეცნიერი ფრიდრიხ ძებიში გვეუბნება, ღმერთების ენა იბერიული ენაა და იგი ქართულ ენაშია შემონახული. ყველა გვატყუებს ამ ენასთან დაკავშირებით? სხვათა შორის, შვეიცარიის უნივერსიტეტმა ტუტანჰამონის მუმია შეამოწმა და მისი დეენემი ქართულ-კოლხურ-კავკასიურს დაემთხვა. რაშია საქმე? – ამას ხომ ისტორიის მამად წოდებული ჰეროდოტეც გვეუბნება – ეგვიპტის კულტურის წარმომავლობა კოლხურიაო.

ფოთის მიუჯელი 15 მილიონ 600 ათასი ლარია

პრიორიტეტები: სოციალური დაცვა, ინფრასტრუქტურა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი 15 მილიონ 600 ათასი ლარით განისაზღვრა. მთავარი საფინანსო დოკუმენტის ძირითადი პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურის განვითარება,მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა, განათლების ხელშეწყობა, კულტურა, ახალგაზრდული და სპორტული პროექტები.

„ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა. ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციაზე 2017 წელს 3 მილიონ 836 ათასი ლარი დაიხარჯება.

სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნება, რომელიც მომავალ წელს 2 მილიონ 170 ათასი ლარით დაფინანსდება. განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა. ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, რაც 2017 წელს 2 მილიონ 209 ათასი ლარით დაფინანსდება. თვითმმართველობა არსებული რესურსებისა და კომპეტენციის ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას, რაზეც წელს მუნიციპალური ორგანო 1 მილიონ 632 ათას ლარს დახარჯავს," - ნათქვამია 2017 წლის პრიორიტეტების დოკუმენტში.

ბიუჯეტის მუხლობრივად განხილვის შემდეგ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობა მუნიციპალიტეტის მერმა ირაკლი კაკულიამ შეაფასა: „მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს - კოორდინირებული და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის, დაუღალავი შრომისა და მხარდაჭერისთვის. ამ ხნის მანძილზე ვცდილობდით დაგროვილი პრობლემების შემცირებას, რაც აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების ეფექტური მუშაობის შედეგია. მინდა მომავალი წელი ჩვენი ქალაქის განვითარების მხრივ მეტად მნიშვნელოვანი იყოს. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებას და ვაგრძელებთ მუნიციპალიტეტის განვითარებაზე ზრუნვას,"- თქვა ქალაქის მერმა. 2017 წლის ბიუჯეტი მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა.

მედია დემოკრატიის ციტადელია, ნუ მოშლით ამათ იციან პრესის ფასი

მედია დემოკრატიის უპირველესი ატრიბუტია, თუმცა რეგიონებში ზოგან იგი არ ფუნქციონირებს, ბევრგან კი შორს არიან დემოკრატიისგან და სამართლიანობის პრინციპებისგან.

სამწუხაროდ, ცოტაა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პრესა-ტელევიზია. ბევრი ასრულებს კლანების დაკვეთას და ქვეყანას წარსულისკენ ექაჩება. მათი უმეტესობა ფინანსდება სხვადასხვა საეჭვო წყაროებიდან-როგორც ქვეყნის შიგნით, ისე-ქვეყნის ფარგლებს გარედან და ასეთ დროს სერიოზული პრესა მივიწყებულია, მაშინ, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება პარტიები, სხვადასხვა ორგანიზაციები, რა დააშავა მედიამ? ეს საკითხი უნდა განიხილოს პარლამენტმა. ქვეყანაში არის პრეცედენტი - საზოგადოებრივი სატელევიზიო არხი ფინანსდება ბიუჯეტიდან საკმაოდ სოლიდური თანხით. რატომ არ შეიძლება ადგილებზე, რეგიონებში იყოს საზოგადოებრივი პრესა-ტელევიზია ხალხის ბიუჯეტიდან დაფინანსებული, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება ამავე ხალხის წინაშე და ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას, ადამიანების ერთი მიზნისკენ გაერთიანებას და არა დაცალკევებასა და უაზრო კინკლაობას. აღსანიშნავია, რომ რეგიონებში თითქმის ყველა პრესა-ტელევიზიას ეხმარებიან სხვადასხვა ფორმით. ,,ნაციონალების" ხელისუფლებაში მოსვლამდე მერია-საკრებულოს ჰქონდა საკუთარი ორგანო გაზეთ ,,ფოთის უწყებანი"-ს სახით,რომელიც წინა ხელისუფლებასთან, უფრო სწორად რეჟიმთან დაპირისპირებას შეეწირა. შემდეგ მის ბაზაზე ჩამოყალიბდა გაზეთი ,,ნიკოლაძის გზით",რომელიც ასევე ებრძოდა. ,,ნაცების" რეჟიმს და გარკვეული წვლილი მიუძღვის ,,ოცნების" გამარჯვებაში. დღეს მას უჭირს ფინანსურად,რადგან მწირია გასაღების ბაზარი, ხოლო ხელმომწერი ორგანიზაციები, დაწესებულებები შემცირდა, უმეტესობა გაუქმდა (ქარხნები, ფაბრიკები, ფირმები და ა. შ.). აღსანიშნავია, რომ გაზეთი არის მატიანე, ხიდი ხალხსა და ხელისუფლებასშორის, კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება და მას ვერ შეცვლის ინტერნეტ –გაზეთი.

მოქალაქეები უკეთ გაეცნობიან იმას, თუ რა საქმიანობას ეწევა მერია-საკრებულო, რა ხდება პოლიტიკაში, ეკონომიკაში, კულტურაში, მედიცინაში, სპორტში და ა. შ. გაზეთს ,,ნიკოლაძის გზით" ამ მიმართულებით საქმიანობის დიდი გამოცდილება აქვს. მისი მთავარი ამოცანაა ყველას-პარტიების,ორგანიზაციების,სამთავრობოების თუ არასამთავრობოების გაერთიანება საერთო წარმატებისათვის ბრძოლაში და არა დაპირისპირება,რამეთუ ქალაქი ერთია თავისი სატკივარითა და საწუხარით.

ასევე გაზეთის საქმიანობის მთავარი ორიენტირია დემოკრატიის განვითარება. რედაქცია დიდ ადგილს უთმოუბს ქალაქის განვითარების ნიკო ნიკოლაძისეულ კონცეფციას- ქალაქისა და ნავსადგურის ინტეგრაციის თაობაზე, ერთერთი მთავარი მიმართულებაა სულიერება –ქრისტიანული რწმენა,ეროვნული სახელმწიფოებრივი პოზიცია, ჰუმანიზმი, ტრადიციები,ადამიანის თავისუფლება და ა.შ.

დღეს, როდესაც ხელისუფლებაში მოვიდნენ ახალი ძალები, როცა ხელისუფლებისა და სახელმწიფოს ინტერესები უახლოვდება ერთმანეთს, ხალხთან კომუნიკაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. სააკაშვილის ხელისუფლება იყო ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა. სამწუხაროდ, იგი დღესაც ფლობს მედია საშუალებებს. ჯიბის პრესა-ტელევიზიების სახით, რომლებიც აგრძელებენ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას. ასსეთ დროს სერიოზულ, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მედიას სჭირდება მხარდაჭერა. გაზეთის რეგულარულად გამოსვლის შემთხვევაში მერია-საკრებულოს ექნება საშუალება მოსახლეობამდე მიიტანოს მისი გადაწყვეტილებები, დადგენილებები. ვრცლად გააშუქოს ხელისუფლების მოღვაწეობა ყველა მიმართულებით, ანგარიში ჩააბაროს ამომრჩეველს, გაითვალისწინოს მისი მოსაზრებები. აქტიურად ჩართოს იგი ქალაქის ბიუჯეტის შედგენა-განხილვაში, გვერდში დაიყენოს მოსახლეობა ქალაქის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაწყვეტაში.

რედაქციაში არიან ამ საქმის პროფესიონალები და შეუძლიათ ღირსეულად წარმოაჩინოს ქალაქი, გაზეთი ხომ მისი სახეა, მისი თანამებრძოლი, რათა ქალაქი გახდეს უფრო ლამაზი და მიმზიდველი.

ვფიქრობ, მერია –საკრებულო შესაძლებლობის ფარგლებში მხარს დაგვიჭერს, რათა ერთობლივად ვიღვაწოთ უკეთესი მომავლისთვის, ფოთის ევროპული ტიპის ქალაქად გადაქცევისათვის.

მიუხედავად ფინანსური და ტექნიკური პრობლემისა, გაზეთი გარკვეული პერიოდულობით გამოდიოდა, რაშიც თავისი წვლილი შეიტანეს და რისთვისაც უდიდეს მადლობას ვუხდით შპს ,,ვნეშტრანსის" გენერალურ დირექტორს სერგო ტატარინოვს, კომპანია ,,სოფმარის" გენერალურ დირექტორს ვახტანგ ალანიას, კომპანია ,,ბიენდპის" გენერალურ დირექტორს ჯუმბერ ცომაიას. შპს ,,კავტრექს ფოთის" გენერალურ დირექტორს რობერტ გვაზავას, ,,გზამშენი-13"-ის ხელმძღვანელობას რეზო კვარაცხელიას, ირა ფაციას, შპს ,,მეტალექსტრანსის" გენერალურ დირექტორს რამაზი გუჯაბიძეს, კომპანია ,,აიას" გენერალურ დირექტორს სოსო წულაიას, ნავსადგურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს მარიკა ნადარაიას, შპს ინფრასტრუქტურის დირექტორს გია სილოგავას, შპს ,,ტოტალის" უფროსს ნუგზარ ბარამიას, შპს ,,აისბერგის" დირექტორს ირაკლი ცეკვაშვილს, შპს ,,ალმარის" დირექტორს მერაბ ალანიას, შპს ,,პალიასტომი 2004"-ის გენერალურ დირექტორს გურამ დოლბაიას, შპს ,,კავკასიური მეტალის ტერმინალის" დირექტორს გოჩა კურდღელიას, შპს ,,მაცივარის" დირექტორს სოსო ჭანტურიას, შპს ,,სერვის+"-ის დირექტორს სამსონ კუტალიას, საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორს ნუნუ ჭელიძეს, შპს ,,მობინადრე 2000"-ის დირექტორს ალფონზ მეტაქსას, შპს ,,ინსტრაფოთის" დირექტორს ენვერ სიჭინავას, რაულ ანთაძეს, ალმისტერ ნემსაძეს და სხვებს, რომლებმაც იციან პრესის ფასი,თუმცა ბევრი ვერ აცნობიერებს ამას და არც არასდროს დაგვხმარებია.

ვულოცავთ ფოელებს ახალ წელს, ახალ წარმატებებს, სიხარულსა და ბედნიერებას ვუსურვებთ ყველას.

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით"
რედაქცია

სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი... სპორტი...

საუკეთესო სპორტსმენების აღიარება

მერიამ ქალაქის წლის სპორტული ცხოვრება შეაჯამა

ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის დრამატულ თეატრში 2016 წლის საუკეთესო სპორტსმენების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა, რომელსაც ქალაქის მერი ირაკლი კაკულია, მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია, საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია, სპორტული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, დამსახურებული სპორტის მასწავლებლები, ვეტერანი სპორტსმენები და იუბილარები ესწრებოდნენ.

წლის განმავლობაში სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში მიღწეული თვალსაჩინო წარმატებისათვის 10 საუკეთესო სპორტსმენი და მწვრთნელი დაჯილდოვდა, რომელთაც სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ქალაქის საუკეთესო სპორტულ კლუბად „ფოთის კოლხეთი 1913" დასახელდა.

ქალაქ ფოთის 2016 წლის საუკეთესო სპორტსმენად კაზანში გამართული ევროპის ჩემ-

პიონატის გამარჯვებული, სოფიაში მსოფლიო ჩემპიონატის მე-2 ადგილის მფლობელი, მოსკოვში გამართული მსოფლიო თასის ბრინჯაოს მედლის მფლობელი ნიკო კუცია აღიარეს. საუკეთესო მწვრთნელის ნომინაციაში

ჭიდაობაში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ზურაბ ტუღუში დაჯილდოვდა.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ირაკლი კაკულიას ინიციატივით დაჯილდოვდა შემდეგი სპორტსმენები: როლანდ გარუჩავა (კალათბურთი), თამაზ შალიკაშვილი (ფეხბურთი), გიორგი ჩხარტიშვილი (ცხენოსნობა), ლაზარე გადელია (ჭიდაობა), ბადრი ქორჩილავა (აღმოსავლური ორთაბრძოლა ტაიკვანდოში), ბადრი ხუციშვილი (კრივი), ზურაბ კალანდაძე (" BMW კლუბ ჯორჯია ფოთის" კლუბში შეტანილი წვლილისა და პოპულარიზაციისათვის).

ღონისძიებაზე ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, პროფესიისადმი ერთგულებისთვის, ქალაქის ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ ქალაქის ვეტერანი, იუბილარი სპორტსმენები და დამსახურე-

ბულ პედაგოგები.

მეუღლე ლალი აბრამიძე; შვილები: თეა, ნონა, თამუნა აბრამიძეები; სიძეები: გოჩა მესხი; კახა ბერაია; გიორგი სარავა; ახლო ნათესავები და მეგობრები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ზაურ აბრამიძე

დაკრძალვა 21 იანვარს ნინოშვილის უბნის სასაფლაოზე

მედეა და ვანო ნარმანიები; ქეთინო და მამუკა გოგინავები თანაუგრძნობენ აბრამიძეების ოჯახს

ზაურ აბრამიძის

გარდაიცვალების გამო

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქცია თანაუგრძნობს ნანა ბოლქვაძეს, მამის

გენო ბოლქვაძის

გარდაიცვალების გამო

მეუღლე: ცირა ბაქრაძე; შვილები: თამილა, ნათია, თეა ჩოკორაიები; სიძეები: ავქსენტი ჟვანია და დავით ჯგერენაია; დები: ლიანა და ლარისა ჩოკორაიები; შვილიშვილები: ალექსანდრე და თინათინ ჟვანიები, ანანო მიქაძე, ნიკოლოზ და გვანცა ჯგერენაიები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გენადი იროდის ძე ჩოკორაია

დაკრძალვა 19 იანვარს 15-სთ-ზე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათია ჩოკორაიას, მამის

გენადი ჩოკორაიას

გარდაცვალების გამო

გაზეთ ,,ნიკოლაძის გზით" რედაქციის თანამშრომლები დიდი გულისტკივილით იზიარებენ ნათია ჩოკორაიას მწუხარებას, მამის

გენადი ჩოკორაიას

გარდაცვალების გამო

მიდიხარ, ტკბილი გქონდეს მგზავრობა...

ძვირფასი მეგობრის - ჯუმბერ ივანეს ძე არზიანის არდავიწყებას!

თითქოს გუშინ იყო გლოვის ზარმა, რომ ჩამოჰკრა შენს მშობლიურ ფაზის-ქალაქში! ქვეყანას დააკლდი მისი ერთგული და ღირსეული შვილი! მუხანათმა და ვერაგმა ავადმყოფობამ დაგრია ხელი და როგორ გვჯეროდა შენი ძლიერი გულის და გაუტეხელი შემართების, რომ ავადმყოფობას დაამარცხებდი და ჩვენთან იქნებოდი მრავალ კეთილ და ღირსეულ საქმეთა მკეთებლად. აკი შენი ცხოვრების 52 წელი სწორედ რომ კეთილ საქმეთა კეთებას შეალიე ჩვენო ძმაო.

ბავშობიდან კაცობასთან, ძმობასთან და მეგობრობასთან იყავი თანაზიარი და მრავალი თაობის თანაქალაქელების დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე.

თვალცრემლიანმა და გულნატკენმა გაგაცილეს უკანასკნელ გზაზე შენმა საყვარელმა ოჯახმა, შენმა დედულ -მამულმა, შენმა საძმო-სამეგობრომ, შენმა თანამშრომლებმა-შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,კავკასიური მეტალის ტერმინალი"-ს მუშა-მოსამსახურეებმა, ტექნიკურმა პერსონალმა, ადმინისტრაციამ, ვისთანაც ერთად ამ ფესვმაგარი საწარმოს შექმნისა და ჩამოყალიბების სათავეებთან შენც იდექი ჩვენო ჯუმბერ!

მშვიდობით ჩვენო ძმაო! მარადისობაში ამაღლებულს, ჩვენს ძმურს სიყვარულს და მარადიულ არდავიწყებას სიცოცხლის ბოლომდე გულით ვატარებთ.

მეგობრები

მედიცინა

თანამედროვე ონკოლოგიის მიღწევა - "ავერსმა" კიბოს სამკურნალო წამალი შემოიტანა

საქართველოში კიბოს სამკურნალო წამალი "რიგვირი" (Rigvir) დარეგისტრირდა. მედიკამენტი ჩვენს ქვეყანაში ფარმაცევტულმა კომპანიამ "ავერსმა" შემოიტანა. აღნიშნული პრეპარატის შესახებ გამართულ პრესკონფერენციაზე "ავერსის" დამფუძნებელმა პაატა კურტანიძემ, "რიგვირის" მწარმოებელი ფირმის წარმომადგენლებმა და საქართველოს კანის კიბოს ასოციაციის პრეზიდენტმა, დერმატოლოგმა ლალი მეკოკიშვილმა ისაუბრეს.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ეს არის მსოფლიოში პირველი წამალი, რომელიც ონკოლოგიის სრულიად ახალ მიმართულებას - ვიროთერაპიას წარმოადგენს. რაც შეეხება ვიროთერაპიას, მათი განცხადებით, ის უკვე მყარად დამკვიდრდა ლატვიაში, სადაც "რიგვირი" მკურნალობის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებადაა მიჩნეული.

2004 წელს შეგროვდა საჭირო მტკიცებულებები, რის შედეგადაც წამალი "რიგვირი " დარეგისტრირებული იქნა ლატვიაში და 2008 წლიდან იგი მთლიანად ხელმისაწვდომი გახდა ლატვიელი პაციენტებისთვის.

მისივე თქმით, ვიროთერაპია ეს არის კიბოს მკურნალობის მეთოდი, სადაც გამოიყენება ვირუსები, რომლებსაც შეუძლიათ მიაგნონ კიბოს უჯრედებს, შეაღწიონ მათში და გაანადგურონ ისინი. კიბოს მკურნალობის აღიარებულ სხვა მეთოდებთან შედარებით ვიროთერაპია წარმოადგენს პაციენტისთვის გაცილებით უსაფრთხო თერაპიას.

"რიგვირი" გამოიყენება კიბოს შემდეგი სახეობების სამკურნალოდ - მელანომა, კუჭ-ნაწლავის კიბო, კუჭქვეშა ჯირკვლის კიბო, თირკმლის კიბო, საშვილოსნოს კიბო, შარდის ბუშტის კიბო, ფილტვის კიბო, პროსტატის კიბო, სარკომის რამდენიმე სახეობა (ლიმფოსარკომა, ანგიოსარკომა, რეტიკულოსარკომა, რაბდომიოსარკომა). რიგვირის გამოყენება შესაძლებელია ამბულატორიულ პირობებში. მხოლოდ, ონკოლოგების და იმუნოლოგების მკაცრი კონტროლის ქვეშ",- განაცხადა კალვინსმა და დასძინა, რომ "რიგვირის" კლინიკური ეფექტურობა და უსაფრთხოობა დადასტურდა რამდენიმე ათასი პაციენტის მკურნალობისას.

ივარს კალვინსმა აღინიშნა, რომ საქართველოს შერჩევა შემთხვევით არ მოხდა -"ჩვენ ვიცით, რომ საქართველო ბევრი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან გამოირჩევა იმით, რომ აქ ჯანდაცვის ორგანოები არ არის კორუმპირებული", - აღინიშნა კალვინსმა.

როგორც "ავერსის" დამფუძნებელმა პაატა კურტანიძემ აღნიშნა, პრეპარატი "რიგვირი" 2015 წლის თებერვალში დარეგისტრირდა. მისი თქმით, აღნიშნული მედიკამენტი შექმნილია ლატვიელი მეცნიერების მიერ ჯერ კიდევ 1960-იანი წლებიდან.

პრეპარატი "რიგვირი" ფარმაცევტული კომპანია ავერსის სააფთიაქო ქსელში, კონკრეტულად კი დავით აღმაშენებლის №148-ში მდებარე აფთიაქში იყიდება.

რედაქციის მისამართი: ქ.ფოთი, თამარ მეფის №52 , საკონტაქტო ტელ: (0493) 22-25-13 გაზეთი იბეჭდება ქალაქ ფოთში შ.პ.ს. ,,ირიდაში"
E-mail: k.khobalia@gmail.com
რედაქტორი ზ. აბრალავა